CPV 63500000

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №5/10

(საქართველოს პრეზიდენტის 2017 წლის 7 მარტის #07/03/02 განკარგულების საფუძველზე, საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან სსიპ- თსსუ-ს პროექტის „ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ უცხოელი პროფესორების აკადემიური და სამედიცინო საქმიანობის ორგანიზება საქართველოში“ განხორციელების მიზნით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მომსახურების შესყიდვაზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით)

ქ. თბილისი 19.06.2017 წ

ერთის მხრივ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად”) წარმოდგენილი კანცლერის, ზურაბ ორჯონიკიძის სახით და მეორეს მხრივ მხრივ შპს „ცენტრალ თრეველი“ (შემდგომში წოდებული “მიმწოდებლად”) წარმოდგენილი დირექტორის, ირაკლი ჩოგოვაძის სახით, ვდებთ ამ ხელშეკრულებას (საფუძველი: თსსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის დავიტ დელიბაშვილის, მოხსენებითი ბარათი, კანცელარიის №2370, 12.06.2017 წ.) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ერთი ეკონომ კლასის ავიაბილეთის (ნიუ-იორკი - მიუნხენი-თბილისი-მიუნხენი - ნიუ-იორკი) მიწოდება, პროფ. რამაზ დათიაშვილის, საქართველოში ვიზიტთან (2017 წლის 14-21 სექტემბერი) დაკავშირებით.

2. მომსახურების გაწევის წესი და ღირებულება

2.1. მიწოდების ვადაა 2 (ორი) სამუშაო დღე მოცემული ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1814,70 (ერთი ათას რვაასთოთხმეტი ლარი და 70 თეთრი) ლარს.

2.3.ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს „მიმწოდებლის“ ყველა ხარჯს, დაკავშირებულს მის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, მოსაკრებლებს და სხვა.

2.4. ფასის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

3. მიღება-ჩაბარების წესი

3.1 საქონლის გადაცემა დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დასტურდება „შემსყიდველის“ და „მიმ-წოდებლის“ მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

3.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად „შემსყიდველს“ წარედგინება ანგარიშსწორებისათვის საჭირო ყველა სხვა დოკუმენტი.

4. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

4.1. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, საქონლის მიწოდების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.2. ანგარიშსწორება „შემსყიდველის“ მიერ განხორციელდება ინვოისის და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. „შემსყიდველი“ იღებს ვალდებულებას:

5.1.1. უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების დროული გადარიცხვა „მიმწოდებლის“ საბანკო ანგარიშზე.

5.1.2. სამგზავრო ავიაბილეთი გაუქმებას (დაბრუნებას) არ ექვემდებარება.

5.1.3. სამგზავრი ავიაბილეთის თარიღის (შესაბამისი კატეგორიის ავიაბილეთით გადაცვლის შემთხვევაში) შეცვლასთან დაკავშირებით, გადაიხადოს მხოლოდ ავიაკომპანიის მიერ დაწესებული ამ კონკრეტული კატეგორისს ავიაბილეთის საჯარიმო სანქცია.

5.2. მიმწოდებელი ვალდებულია:

5.2.1. პასუხი აგოს გაწეული მომსახურების ხარისხზე.

5.2.2. უზრუნველყოს მომსახურების გაწევა დადგენილი პირობების შესაბამისად.

5.2.3. რეისის გადადების (გაუქმების) შემთხვევაში (გარდა ფორსმაჟორისა), უზრუნველყოს მგზავრის დანიშნულების ადგილზე გადაყვანა ალტერნატიული ვარიანტით, „შემსყიდველის“ თანხმობის შემთხვევაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, უზრუნველყოს დადგენილი წესების შესაბამისად სამგზავრო ავიაბილეთის ღირებულების („შემსყიდველის“ მიერ გადახდილი თანხის) სრულად დაბრუნება „შემსყიდველის“ საბანკო ანგარიშზე.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ფასის 0,1%-ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ფასის 0,1%-ის ოდენობით.

6.3. საჯარიმო სანქცია არ ათავისუფლებს მიმწოდებელსა და შემსყიდველს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ფორს-მაჟორი

7.1. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

7.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

8.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევაზე კონტროლს განახორციელებს თსსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი.

10. დამატებითი პირობები

10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები და ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირს.

10.3. ხელშეკრულებაში დამატებებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.

10.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

11. დავათა განხილვის წესი

11.1 მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	შპს „ცენტრალ თრეველი"
ვაჟა-ფშაველას გამზ. №33	თბილისი, ფალიაშვილის ქ. 85
საიდენტიფიკაციო ნომერი 211328703	საიდენტიფიკაციო ნომერი 204955806
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22	სს თი ბი სი ბანკი TBCBGE22
ა/ა GE24 NB 0330100200165022	ა/ა GE96 TB06 0000 0023 4678 83
თსსუ-ს კანცლერი	შპს „ცენტრალ თრეველი"
ზურაბ ორჯონიკიძე	ირაკლი ჩოგოვაძე
---	---